N 01/133
22/01/2021

133-01-2-202101221700

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს

გენერალურ დირექტორს

ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და კომპანია ,,დოპელმაიერს"-ს შორის 2012 წლის 5 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება „ქალაქ თბილისში, ვარდების მოედნისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის (8 MGD ტიპის მონოგონდოლა) დანადგარების, მათი მონტაჟის და ტესტირების, ასევე, საბაგიროსთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ". ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15.16.355 განკარგულების საფუძველზე, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, თბილისის მერიასა და კომპანია „დოპელმაიერ საილბაჰნენ GmbH"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულების შესრულება დაეკისრა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას".

საბაგირო გზის თავდაპირველ მარშრუტად განსაზღვრული იყო სასტუმრო „რედისონის" მიმდებარე ტერიტორიიდან მთაწმინდის პარკის მიმართულება, ხოლო 2016 წლის 19 თებერვალს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმით მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება პირველი რესპუბლიკის მოედანზე (ყოფ. ვარდების რევოლუციის მოედანი) საბაგირო გზის ქვედა სადგურის მოწყობასთან დაკავშირებით და გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული სადგურის სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე ძველი საბაგირო გზის არსებულ სადგურში განთავსების განხილვის თაობაზე.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2019 წლის №7 ოქმის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2016 წლის 8 ივნისის N22.03.475 განკარგულებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ახალ ლოკაციად განისაზღვრა სსიპ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე საბაგირო გზის ძველი სადგურის შენობა.

ქვედა სადგურის ლოკაციის შესაბამისად შეიცვალა საბაგიროს გზის პროფილიც, რამაც თავის მხრივ განაპირობა სრულიად ახალი არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტების მომზადება. დღეის მდგომარეობით საპროექტო სამუშაოები დასრულებულია, მათ გავლილი აქვთ კანონმდებლობით დადგენილი ყველა სახისა და ინსტანციის ექსპერტიზა და მიღებულია შესაბამისი დადებითი დასკვნები.

საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე დაგეგმილია მთაწმინდის საბაგირო გზის სრული რეაბილიტაცია. გარდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციისა, რომელიც ქალაქის ისტორიულ ნაწილს მთაწმინდის რეკრეაციულ ზონასთან უმოკლესი მარშრუტით დააკავშირებს, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია:

- ძველი საბაგირო გზის ქვედა სადგურის ისტორიული შენობა-ნაგებობისათვის საწყისი ფუნქციისა და იერსახის აღდგენა;
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გამოსყიდული, გაბაშვილის N6–ში (ს/კ 01.15.05.003.008) მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი, რის შემდგომაც როგორც საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის, ასევე რუსთაველის გამზ. N54-ში (ს/კ 01.15.05.003.060) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლისათვის (ე.წ „ცისფერმაქმანებიანი სახლი“) გამოთავისუფლებულ იქნება სამანქანო გზა გადაუდებელი მომსახურებების (სახანძრო-სამაშველო) მისაღებად (რაც დღეის მდგომარეობით შეზღუდულია გარშემო მდგომი შენობებით).

უნდა აღინიშნოს, რომ დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა უშუალოდ ემიჯნება რუსთაველის გამზ. N54–ში (ს/კ 01.15.05.003.060) მდებარე სახლს და მისი ავარიული საკანალიზაციო სისტემა წლების განმავლობაში აზიანებდა აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. მოცემული შენობის დემონტაჟის შედეგად აღმოიფხვრება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის (ე.წ „ცისფერ-მაქმანებიანი სახლი“) საძირკვლის დაზიანების საშიშროება და ვიზიტორებისთვისაც გამოჩნდება მისი იერსახე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ თქვენი უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის (რუსთაველი-მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის) აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებული წინამდებარე წერილის დანართის სახით წარმოდგენილ მასალას და გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება ან/და რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია და ექსპერტიზის დასკვნები (1 მეხსიერების ბარათი).

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990183378296321

№09/345

10 / თებერვალი / 2021 წ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის
გენერალურ დირექტორს
ბატონ გიორგი შარკოვს

ბატონო გიორგი,

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი 2021 წლის 22 იანვრის N01/133 მომართვა განხილული იქნა, რომლის თანახმად მოთხოვნილია სააგენტოს მოსაზრება ან/და რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული: ძველი საბაგირო გზის ქვედა სადგურის ისტორიული შენობა-ნაგებობისათვის საწყისი ფუნქციის/იერსახის აღდგენისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ გამოსყიდული, ქ. თბილისში, გაბაშვილის N6–ში (ს/კ 01.15.05.003.008) მდებარე საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის თაობაზე, რის შემდგომაც როგორც საბაგირო გზის ინფრასტრუქტურის, ასევე ქ. თბილისში, შ. რუსთაველის გამზ. N54-ში (ს/კ 01.15.05.003.060) მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლისათვის (ე.წ „ცისფერმაქმანებიანი სახლი“) გამოთავისუფლებულ იქნება სამანქანო გზა გადაუდებელი მომსახურებების (სახანძრო-სამაშველო) მისაღებად (რაც დღეის მდგომარეობით შეზღუდულია გარშემო მდგომი შენობებით).

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გაბაშვილის N6–ში (ს/კ 01.15.05.003.008) მდებარე საცხოვრებელი სახლი არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს. რაც შეეხება 01.15.05.003.060 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ შენობას (ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N54) „ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბერის N3/181 ბრძანებით მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლის სტატუსი, აღნიშნულ აქტში შენობა დამისამართებულია როგორც ე. გაბაშვილის ქ. N8.

ასევე, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიეცა უფლება განახორციელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილების დელეგირება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტზე, რის თაობაზეც, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან გააფორმოს ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

შესაბამისად ქალაქ თბილისში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (გარდა საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვის გამცემ ორგანოს წარმოდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური; ასევე, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობებზე განსახორციელებელ სამშენებლო საქმიანობის (მათ შორის დემონტაჟის) ნებართვას გასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური.

ამასთანავე, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საქმიანობა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ინტერესების დაცვის პირობით.

პატივისცემით,

10 02 21
627/01

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე